სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
ხელშეკრულება №32

დ. ქედა **14. 02. 2020 წელი**

ერთის მხრივ ქედის მუნიციპალიტეტი (შემდგომში„შემსყიდველი''), წარმოდგენილი მერის ლევან გორგილაძის სახით, და მეორეს მხრივ შპს „მიგა+" (შემდგომში „მიმწოდებელი'') წარმოდგენილი მისი დირექტორის მირზა გათენაძის სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-2 მუხლის ა პუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას, შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანი. 5 ცალი ელექტრო ღუმელის და 5 ცალი ელექტრო გამაგრძელებელის შესყიდვა. CPV39711361, და CPV 31224810

2. ხელშეკრულების ღირებულება.

2.1. ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება შეადგენს 385 (სამასოთხმოცდახუთი) ლარს. მათ შორის:
2.1.1 ელექტრო ღუმელი 2ცალ X 90ლ. = 180 ლარი ;
2.1.2 ელექტრო ღუმელი 3ცალ X 55ლ. = 165 ლარი
2.1.3 ელექტროგამაგრძელებელი 5ცალ X 8ლ. = 40 ლარი

2.2.ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. ანგარიშსწორება

3.1 შემსყიდველი მიმწოდებელს საქონლის ღირებულებას აუნაზღაურებს, უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარებში, ფაქტიურად მიწოდებული საქონლის შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.
3.2 ანგარიშსწორებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:
(წერილობითი მოთხოვნა, სასაქონლო ზედდებული)

4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი.

4.1 **<u>„შემსყიდველი" ვალდებულია:</u>**
4.1.1 უზრუნველყოს მისთვის გადაცემული საქონლის შესაბამისი ანაზღაურების გადახდა მიმწოდებლისათვის წინამდებარე ხელშეკრულების პირობათა სრული დაცვით.
<u>4.2 „შემსყიდველი" უფლებამოსილია:</u>
4.2.1. „მიმწოდებლისგან" მოითხოვოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონლის ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობითა და ვადაში მიღება.
<u>4.3. „მიმწოდებელი" ვალდებულია:</u>
4.3.1. ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში ხელშეკრულებით დადგენილი ოდენობითა და ღირებულებით მიაწოდოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.
<u>4.4. „მიმწოდებელი" უფლებამოსილია:</u>
4.4.1. „შემსყიდველისგან" მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და დროულად შესრულება.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ კონტროლი.
5.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

5.3 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან

6. მომსახურების მიწოდების პირობები

6.1 საქონლის მიწოდება ხორციელდება ხელშეკრულების დადებიდან 2020 წლის 01 მარტამდე.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და მიღება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელია ქედის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურის უფროსი.

7.2. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება სრულად მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საბოლოო შემოწმების შემდეგ.

8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

8.1 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაში შედის, თუ ის გაფორმებულია წერილობით და დადასტურებულია ორივე მხარის მიერ.

9. უფლებების გადაცემა

9.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

10. სუბკონტრაქტორები

10.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინადებარე ხელშეკრულების დამატების სახით.

10.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

10.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11. შეტყობინება

11.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

11.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1 ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით,

12.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

12.3 საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

13.1 შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი ეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს შესაბამისი მომსახურება ან მისი ნაწილი;
ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.
13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.3 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყეტის შესახებ აგრეთვე:
ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;
გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14. ფორს-მაჟორული სიტუაცია

14.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან დაკისრებულ მოვალეობათა ნაწილობრივ ან სრულად შეუსრულებლობისათვის დაუძლეველი ძალის ზემოქმედებით გამოწვეული გარემოებების შემთხვევაში.
14.2. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს ამის შესახებ.
14.3 მხარე არ თავისუფლდება პასუხისმგებლობიდან, თუ კი ფორს-მაჟორული გარემოების დადგომა გამოწვეულია მისი ბრალით, ან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება შესაძლებელი იყო ასეთ გარემოებათა დადგომამდეც გონივრულ ვადებში.

15. სადაო საკითხების გადაწყვეტა

15.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
15.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია 2020 წლის 01 აპრილამდე .

17. რეკვიზიტები

„შემსყიდველი”:	„მიმწოდებელი”:
ქედის მუნიციპალიტეტი	შპს. „მიგა+“
მისამართი: დაბა ქედა, მ. კოსტავას №3	მისამართი: დ. ქედა, აღმაშენებლის ქ. #3
საიდ. კოდი 246742061	საიდ. კოდი 446757037
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა	მიმღები ბანკი: ს.ს.„ლიბერთი ბანკი“
ბანკის კოდი: TRESGE22	ბანკის კოდი LBRTGE22
ანგ. № GE24NB0330100200165022	ანგ. № GE55LB0113139481874000
მერი	დირექტორი
ლევან გორგილაძე /ხელმოწერილია/	მირზა გათენაძე

Mirza Gatenadze

Подписано цифровой подписью: Mirza Gatenadze
Дата: 2020.02.14 15:01:57 +04'00'